# სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგია

**დამტკიცებულია**
აკადემიური საბჭოს მიერ
2019 წლის 06 თებერვალი ოქმი N1

**ცვლილება**
აკადემიური საბჭოს მიერ
2019 წლის 13 დეკემბერი ოქმი N12

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

**შინაარსი**

**ნაწილი I. სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი მიდგომები, მიზნები, სახეები**

1. სტრატეგიის ძირითადი მიდგომები
2. სტრატეგიის ძირითადი მიზნები
3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სახეები და განმახორციელებელი სტრუქტურები
4. სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და ორგანიზება
5. სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია

**თავი II. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტულობისა და ხარისხის შეფასება**

1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ზოგადი პრობლემები
2. სამეცნიერო საქმიანობის შეფასების მიზნები და ამოცანები
3. სამეცნიერო საქმიანობის შეფასების სისტემა და პროცედურები
4. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ინდიკატორები და კრიტერიუმები
5. უნივერსიტეტის სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობის შეფასების ინდიკატორები და კრიტერიუმები
6. სამეცნიერო საქმიანობის შეფასების შედეგები მართვა
7. გარდამავალი დებულება

## თავი I. სამეცნიერო საქმიანობის ინსტიტუციური მიდგომები და მიზნები

### 1 სტრატეგიის ძირითადი მიდგომები

1. გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგია განსაზღვრავს სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებულ ინსტიტუციურ მიდგომებს, სამეცნიერო საქმიანობის შეფასების პრინციპებს, მექანიზმებსა და ინსტრუმენტებს.
2. სტრატეგია მიზნად ისახავს სამეცნიერო საქმიანობის განვითარებასა და მისი ხარისხის ამაღლებას, აგრეთვე სწავლა/სწავლების პროცესებში სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ინტეგრაციის პროცესების გაუმჯობესებას.
3. უნივერსიტეტი სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებისას აკადემიურ თავისუფლებას განიხილავს როგორც სახელმძღვანელო პრინციპს; თავის მხრივ, სამეცნიერო საქმიანობაში ჩართული პირები თავიანთი საქმიანობას უნდა ახორციელებდნენ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით, ხარისხზე ფოკუსირებით, ახალგაზრდა თაობის შესაძლებლობების გაძლიერების მოტივაციით.
4. უნივერსიტეტი, მისი ფაკულტეტების პროფილების შესაბამისად, წელიწადში ერთხელ განსაზღვრავს პრიორიტეტულ კვლევით მიმართულებებს; კვლევის პრიორიტეტების განსაზღვრის დროს, შესაძლებლობების ფარგლებში, გაითვალისწინოს დააკმაყოფილოს საზოგადოების ინტერესები და მის წინაშე მდგარი კონკრეტული პრობლემები. კვლევითი პრიორიტეტების განვითარების მიზნით უნივერსიტეტი გამოყოფს ფინანსურ, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს.
5. უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს სტუდენტთა ინტერესებს, შესაბამისად სამეცნიერო საქმიანობის შედეგები აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული სწავლა-სწავლების პროცესში.
6. სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანობისთვის უნივერსიტეტი გეგმავს ითანამშრომლოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან, კვლევით ინსტიტუციებთან, კერძო და საჯარო ორგანიზაციებთან, უცხოურ უნივერსიტეტებთან, რათა შეძლოს ერთობლივი კვლევების განხორციელება ან მათში მონაწილეობის მიღება.

### 2 სტრატეგიის ძირითადი მიზნები

1. **სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტრატეგიის ძირითადი მიზნებია:**

1) უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის განვითარება, ხარისხის ამაღლება და სამეცნიერო პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება;
2) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა ფინანსური რესურსების ეფექტიანი, ეკონომიური და მიზნობრივი გამოყენებით, რაც გულისხმობს დასახული მიზნების მიღწევას დაგეგმილი ბიუჯეტის ფარგლებში და რესურსების კონცენტრაცია უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებზე;

3) კვლევითი საქმიანობის ხარისხის, ეფექტურობის შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის;
4) აკადემიური პერსონალის მოტივირება სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად და ამ საქმიანობის შედეგების გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში, სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით;
5) კვლევითი საქმიანობით დაინტერესებული სტუდენტების გამოვლენა, მოტივირება და ყოველმხრივი მხარდაჭერა; ახალგაზრდა თანამშრომელთა სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერა;
6) აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;
7) უნივერსიტეტის ინტელექტუალური პოტენციალის კომერციალიზაციის პირობების შექმნა.

**2. სტრატეგიის ძირითადი ამოცანები**

1) სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზებისა და მართვის მექანიზმების გაუმჯობესება;
2) სამეცნიერო ღონისძიებების (კონფერენციები, სემინარები, მრგვალი მაგიდა) დაგეგმვა, ჩატარება;
3) სამეცნიერო შრომათა კრებულების, მონოგრაფიების, ჟურნალების გამოცემის უზრუნველყოფა;
4) აკადემიური პერსონალის ინფორმაციული და საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა მიმდინარე და დაგეგმილ სამეცნიერო ღინისძიებებთან დაკავშირებით მ.შ.ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების პროგრამების/პროექტების შესახებ საქმიანობის;
5) აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ადმინისტრაციული (პროგრამების, პროექტების მომზადების ხელშეწყობა) და ფინანსური მხარდაჭერის ზრდა;
6) აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის წახალისების სისტემის შექმნა;
7) მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შემუშავების, კონკურსისა და შიდა გრანტის მოპოვების წესის შემუშავება; კონკურსების გამოცხადება, პროექტების შერჩევა;
8) საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის ამაღლება, სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობებში ჩართვა და ადმინისტრაციულ-ფინანსური მხარდაჭერის ზრდა;
9) სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმების/კრიტერიუმების დანერგვა.

## 3 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სახეები, განმახორციელებელი სტრუქტურები

1. **სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სახეები:** უნივერსიტეტში შეიძლება განხორციელდეს იუნესკოს განახლებული კლასიფიკატორით (ISCED-2011) განსაზღვრული სამეცნიერო საქმიანობის შემდეგი სახეები:
   1) თეორიული/აკადემიური;
   2) პრაქტიკული/პროფესიული.

**2. სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები და ხელშემწყობი სტრუქტურები**

2.1. უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის სუბიექტებია კათედრები/პროგრამული მიმართულებები, რომლებიც სასწავლო საქმიანობასთან ერთად, წარმოადგენენ სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელ ძირითად ერთეულებს და აკადემიური პერსონალი;

2.2. აკადემიური პერსონალის ვალდებულებაა ჩაერთოს ფაკულტეტის/კათედრის საკვლევი თემის განსაზღვრისა და განხორციელების პროცესში; აღნიშნული არ ზღუდავს მას განახორციელოს

ამ თემატიკისაგან დამოუკიდებელი ინდივიდუალური აქტივობები, რაც ასევე, უნდა ესადაგებოდეს საუნივერსიტეტო სამეცნიერო საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

2.3. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო დატვირთვა უნდა შეადგენდეს მისი სასწავლებელში საქმიანობის მინიმუმ 20%-ს , რაც ნიშნავს 360/8 სთ. საათობრივ დატვირთვას;

2.4. სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი პასუხისმგებელია სამეცნიერო ნაშრომის ხარისხზე; დაფინანსების შემთხვევაში - ფინანსური რესურსის ეკონომიურ განაწილებაზე;

**3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი ერთეულები:**

3.1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობაზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში, პასუხისმგებელნი არიან: აკადემიური საბჭო; უნივერსიტეტის ადმინისტრაცია; ფაკულტეტები; ბიბლიოთეკა; უნივერსიტეტის ყველა სხვა სტრუქტურული ერთეული, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ კათედრებს/აკადემიურ პერსონალს: დაგეგმილი კვლევების ჩატარებასა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში; სამეცნიერო კვლევების განვითარების მიზნით შესაბამისი კონტაქტების დამყარებაში; სამართლებრივი საკითხების, საგრანტო განაცხადის მომზადებისა და წარდგენის საკითხებში და უზრუნველყოფს ტრენინგების ჩატარებას; მემორანდუმების, ხელშეკრულებების მომზადება-გაფორმებაში; გრანტების ეფექტურ ადმინისტრირებასა და ანგარიშების წარდგენის პროცესში (ტექნიკური დახმარება).

**4. უნივერსიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებია:**

1) პრიორიტეტულ სამეცნიერო მიმართულების ხელმძღვანელობა/მონაწილეობა;
2) მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ხელმძღვანელობა/მონაწილეობა;
3) მონოგრაფიის მომზადება/კოლექტიური მონოგრაფიის მომზადება/მონაწილეობა;
4) სახელმძღვანელოს მომზადება;
5) სამეცნიერო შრომათა კრებულის მომზადება/მონაწილეობა;
6) სამეცნიერო სტატიების მომზადება გამოქვეყნება (სამეცნიერო შრომათა კრებულში; სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმების, სემინარების მასალათა კრებულში; რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში; გამოქვეყნებული იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში: საზღვარგარეთის ჟურნალში);
7) სასწავლო-მეთოდური ნაშრომის მომზადება;
8) მოხსნება ეროვნულ, რეგიონულ და/ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში (სიმპოზიუმში, სემინარში), სხვა სახის სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილოება;
9) სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება (სამეცნიერო სემინარი, მრგვალი მაგიდა, სამეცნიერო-მეთოდური სემინარი, საჯარო ლექცია, ვორქშოფი, გამოფენა, ფესტივალი, მეცნიერის ხსოვნის საღამო, სამეცნიერო საზოგადოების დაარსება, სამეცნიერო-თემატური კვირეული და ა.შ.);
10) სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზება (კონფერენცია, პროექტი);
11) სარედაქტორო საქმიანობა (მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, სამეცნიერო შრომათა კრებულის, სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორობა, სარედაქციო საბჭოს წევრობა, სარედაქციო კოლეგიის წევრობა) და სხვა;
12) სარეცენზიო საქმიანობა (სტატიის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, სამეცნიერო შრომათა კრებულის, სამეცნიერო ჟურნალის, სადოქტორო/სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება
13) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა;
14) სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა (სხვა უსდ-ში მიწვევის, ან ერთობლივი სადოქტორო ნაშრომის შემთხვევაში);

15) სამეცნიერო საზოგადოების წევრობა;
16) დაფინანსებულ სამეცნიერო პროექტში/პროექტებში მონაწილეობა;
17) საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა;
18) ლექციები, საჯარო გამოსვლები, პრეზენტაციები, ლექციები მიწვევით და სხვა აქტივობები, რაც არ არის გამოქვეყნებული.

## 4 უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და ორგანიზება

1. **დაგეგმვა:** უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის ერთიანი გეგმა დგება უნივერსიტეტის საგანამანათლებლო მიმართულებებთან ესაბამისობაში, ფაკულტეტების/კათედრების გეგმების საფუძველზე და დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიურ საბჭოს; ფაკულტეტი/კათედრა დამოუკიდებლად ირჩევს კვლევის ძირითად საკითხს/თემას, რომლის განხორციელების პერიოდი შეიძლება იყოს მოკლევადიანი (ერთწლიანი) ან გრძელვადიანი (2-3 წლიანი); კვლევის ძირითადი საკითხის/თემის დამუშავების პროცესში ჩართული უნდა იყოს სტუდენტი; კვლევითი საქმიანობით დაინტერესებული სტუდენტების გამოვლენა, მოტივირება და ყოველმხრივი მხარდაჭერა კათედრის სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.
2. **ორგანიზება:** უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობა ორგანიზებულია შემდეგნაირად:

*2.1. საკათედრო წლიური სამეცნიერო კვლევა:* კათედრის წლიური სამეცნიერო კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებას კათედრა ირჩევს დამოუკიდებლად, რაც ამავე დროს უნდა იყოს უნივერსიტეტის პროფილსა და სტუდენტთა ინტერესებთან ადაპტირებული. წლიურ სამეცნიერო კვლევაში ჩართული უნდა იყოს კათედრის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, შესაძლებელია აგრთვე მოწვეული პერსონალის ჩართვაც.კვლევას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის პროფესორი;

*2.2. ინდივიდუალური კვლევა:* ინდივიდუალური კვლევა ხორციელდება აკადემიური პერსონალის პროფილისა და ინტერესების შესაბამისად, რაც ამავე დროს უნდა იყოს უნივერსიტეტის პროფილის შესაბამისი;

*2.3. მიზნობრივი საგრანტო პროექტი:* სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა შესაძლებელია განხორციელდეს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის სახით, ჯგუფის მიერ, რაც არასავალდებულო აქტივობაა და დამატებით ფინანსდება უნივერსიტეტის გრანტით. მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტს ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის წარდგენის პროცედურა და მოთხოვნები პროექტის მიმართ, პროექტის შერჩევისა და გრანტით დაფინანსების წესი რეგულირდება დოკუმენტით-„მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საგრანტო კონკურსის დებულება“.

3. **ფინანსური, ადმინისტრაციული და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის მექანიზმები:** სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა გაწერილია დოკუმენტში: „სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები“ და შეიძლება განხორციელდეს შემდეგი წყაროებიდან:

1) უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან/ფაკულტეტის ხარჯვის ლიმიტიდან;
2) სხვადასხვა სამეცნიერო ფონდებიდან, საგრანტო საპროექტო ფონდებიდან;

3) ეკონომიკური აგენტების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ფონდებიდან;
4) შიდა სამეცნიერო გრანტით.

## 5 სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია

1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს უნივერსიტეტის ინტელექტუალური გამოცდილების გაღრმავება და მისი შედეგების ინტეგრირება სასწავლო პროცესში. აკადემიურ პროგრამებში კვლევის ინტეგრირება უზრუნველყოფილია:

1) სამაგისტრო და საბაკალავრი პროგრამების კვლევითი კომპონენტით;
2) სტუდენტთა ყოველწლიური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციით;
3) თანამედროვე საერთაშორისო კვლევებისა და უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევითი საქმიანობის შედეგების ასახვით საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში და სასწავლო ლიტერატურაში.
4) ფაკულტეტის/კათედრის საგრანტო კვლევით პროექტებში სტუდენტთა ჩართულობით;
5) სტუდენტების კურიკულუმის გარეშე აქტივობები (მათთვის გამიზნული ტრენინგები და სემინარები);
6) სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზებით, პერიოდული გამოცემებით, ლიტერატურით.
7) სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლითი პროგრამებით და სხვა.

## თავი II. სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობის შეფასება

### 1 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ზოგადი პრობლემები

1. უსდ-ების სამეცნიერო საქმიანობის/კვლევის ხარისხის შეფასება, როგორც ცნობილია, შედარებით ახალი იდეაა, ხოლო შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა რთული თემაა და სამეცნიერო წრეებში დღემდე აქტიური დებატების საგანს წარმოადგენს.

1.1. აკადემიურ ინსტიტუციებს, სახელმწიფო სტრუქტურებს, არასახელმწიფო სტრუქტურებს, ფონდებს განსხვავებული დამოკიდებულებები აქვთ ხარისხის სტანდარტების, ინდიკატორების, მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეფასების პოლიტიკისა და პრაქტიკის, კვლევის მნიშვნელობის ფინანსური გამოხატულების მიმართ.

1.2. დღეისათვის, სასწავლო უნივერსიტეტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სამეცნიერო ნაშრომის ხარისხის შეფასების მკაფიოდ განსაზღვრული ინდიკატორები და კრიტერიუმები არ არსებობს.

1.3. აღნიშნულის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ იქნა სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ინსტიტუციური წესი და შეფასების გაზომვადი ინდიკატორები/ კრიტერიუმები, რითვისაც გაანალიზდა რა ESQR (European Society for Quality Research), IDRC (The International Development Research Center), HCERES (High Council for the Evaluation of Reserach and Higher Education), AUBR (Assessment of university-based research), THE (Times Higher Education's) და სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიდგომები კვლევის ხარისხის სტანდარტების, შეფასებისა და უნივერსიტეტების რეიტინგების განსაზღვრის შესახებ, აგრეთვე, საქართველოს განათლების ხარისხის დეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნები.

2. უნივერსიტეტი აცნობიერებს, რომ სამეცნიერო საქმიანობის და კვლევის/ ნაშრომის ხარისხის შეფასების ქვემოთ მოცემული ინდიკატორები და კრიტერიუმები არ არის სრულყოფილი, დაიხვეწება და შეიცვლება ამ მიმართულებით სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე მიღწეული პროგრესის შესაბამისად.

### 2 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების მიზნები და ამოცანები

**1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების მიზნები და ამოცანები:**

1.1. უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ძირითად მიზანს წარმოადგენს შეფასების ფორმალური და სისტემური მიდგომის გამოყენებით კათედრების და აკადემიური პერსონალის მიერ უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობაში შეტანილი წვლილის შეფასება, რაც, თავის მხრივ, ემსახურება სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაუმჯობესებას.

1.2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელ ძირითად სტრუქტურულ ერდთეულებს წარმოადგენენ კათედრები და მათი აკადემიური პერსონალი; შფასების ქვემოთ მოცემული წესი ნაწილობრივ ვრცელდება მოწვეულ პერსონალზეც.

1.3. სამეცნიერო საქმიანობის შეფასება ემსახურება შემდეგ ამოცანებს:

1) ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება;

2) ხარვეზებისა და პრობლემების გამოვლენა, მათი პრევენციის მიზნით;
3) განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვეთა და სამომავლო კვლევების დაგეგმვა;
4) შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების მართვა.

## 3 სამეცნიერო საქმიანობის შეფასების სისტემა და პროცედურა

1. უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების სისტემა წარმოადგენს უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მექანიზმს, რომელიც განვითარებაზე ორიენტირებული, უწყვეტი შეფასების პროცესია და ეფუძნება PDCA ციკლს.
2. სამეცნიერო საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შედეგების ანალიზსა და შეფასებას, ხოლო მათ საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღებას შემდგომი გაუმჯობესებისათვის.
3. შეფასება ხდება წელიწადში ერთხელ და დაფუძნებულია როდენობრივ და ხარისხობრივ ინდიკატორებზე დაყრდნობით, რასაც ახორციელებს ფაკულტეტის მიერ შექმნილი კომისია, რომელიც მტკიცდება რექტორის მიერ.
4. სამეცნიერო საქმიანობის შეფასების პროცესი:




5. სამეცნიერო საქმიანობის შეფასების სისტემა:

**ცხრილი N1**

| N | კომპონენტი |
|---|---|
| **კომპონენტი 1.** | აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება; |
| **კომპონენტი 2.** | ფაკულტეტის/კათედრის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება; |
| **კომპონენტი 3.** | უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კომპლექსური შეფასება; |
| **კომპონენტი 4.** | შეფასების შედეგები და მათზე რეაგირება. |

6. ფაკულტეტზე შეგროვებულ მონაცემებს აანალიზებს შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ასახავს ანგარიშებში, რომლებსაც აწვდის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
7. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტებიდან მიღებული მონაცემებისა და პირველადი შეფასების, ასევე შესაბამისი სამსახურებიდან მიღებული ანგარიშების საფუძველზე ამზადებს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს რექტორს და აკადემიური საბჭოს.
8. უნივერსიტეტში პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგად გამოვლენილი კარგი პრაქტიკის გაზიარებასა და წახალისებას კოორდინირებას უწევს

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად. ეს შესაძლებლობას მისცემს უნივერსიტეტს ეფექტურად გამოიყენოს მხარდამჭერი მექანიზმები კვლევითი საქმიანობის ხარისხის განვითარებისათვის.

## 4 აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ინდიკატორები და კრიტერიუმები

1. პერსონალის მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს აკადემიური პერსონალის ზღვრული დატვირთვას, რომლის თანახმად მისი ვალდებულებაა სამუშაო დროის 20% დაუთმოს სამეცნიერო კვლევებს, რაც შეადგენს წელიწადში 360 საათს (კვირაში 8 საათს), ამასთან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ დატვირთვას.
2. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ფასდება რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორებისა და კრიტერიუმების საფუძველზე.
3. შეფასების დაწყებამდე აკადემიური პერსონალი ამზადებს სამეცნიერო საქმიანობის თვითშეფასების ანგარიშს (დანართი 1), რომელიც მოიცავს რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასების კომპონენტებს;
4. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ფასდება შემდეგი (პირობითი) ქულების საფუძველზე, რომლის მაქსიმალური რაოდენობაა 150 ქულა (მათ შორის რაოდენობრივი ინდიკატორებით 100 ქულა, ხარისხობრივი ინდიკატორებით 50 ქულა);

**კომპონენტი 1. ა. სამეცნიერო პროდუქტულობის ინდიკატორები (რაოდენობრივი მონაცემები)**

შეფასების მაქსიმალური ქულაა -100

**ცხრილი N2.**

| N | **სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და პროფესიული განვითარება** | **ინფორმაცია** | **ქულა** |
|---|---|---|---|
| 1. | **მონოგრაფია** | **ავტორი/ავტორები, დასახელება, გამოქვეყნების ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა** | |
| | მომზადება-გამოცემა | | 200 |
| | რეადაქტირება | | 50 |
| | რეცენზირება | | 50 |
| 2. | **სახელმძღვანელო** | **ავტორი/ავტორები, დასახელება, გამოქვეყნების ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა** | |
| | მომზადება-გამოცემა | | 100 |
| | შევსება -განახლება | | 50 |
| | რეადაქტირება | | 30 |
| | რეცენზირება | | 30 |
| 3. | **სტატია** | **ავტორი/ავტორები, დასახელება, გამოქვეყნების ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა** | |
| | იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალში | | 100 |
| | რეფერირებად, რეცენზირებად საზღვარგარეთის ჟურნალში | | 80 |
| | ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში, შრომათა კრებულში | | 60 |
| | სასწავლო/სამეცნიერო მეთოდურ ჟურნალში | | 60 |
| | სამეცნიერო-პოპულარულ გამოცემაში | | 30 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 4. | **საგრანტო პროექტი** | **სამეცნიერო გრანტის დასახელება, სტატუსი, ხანგრძლივობა (წწ), დონორი ორგანიზაცია** | |
| | საერთაშორისო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა | | 200 |
| | საერთაშორისო საგრანტო პროექტში მონაწილეობა | | 100 |
| | საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ხელმძღვანელობა | | 150 |
| | საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტში მონაწილეობა | | 80 |
| | შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა | | 80 |
| | შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტში მონაწილეობა | | 40 |
| 5. | **სამეცნიერო კონფერენცია/სიმპოზიუმი/ სემინარი** | **ღონისძიების ჩატარების ადგილი/კონფერენციის სახელწოდება, ჩატარების თარიღი;** | |
| | საერთაშორისო სამეცნიერო კონფე-რენციის, სიმპოზიუმის და სხვა ხელმძღვანელობა | | 100 |
| | მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე,სიმპოზიუმზე და სხვა | **(მოხსენების სათაურის მითითებით)** | 60 |
| | ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციის, სიმპოზიუმის და სხვა ხელმძღვანელობა | | 60 |
| | მოხსენება ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაზე და სხვა | | 40 |
| | უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის ხელმძღვანელობა | | 40 |
| | მოხსენება საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციაზე, სიმპოზიუმზე და სხვა | | 40 |
| 6. | **სამეცნიერო კონფერენციისთვის სტუდენტის მომზადება/სტუდენტთა სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობების ორგანიზება-ხელმძღვანელობა** | **კონფერენციის სახელწოდება; ორგანიზატორის დასახელება/ჩატარების ადგილი და თარიღი. სტუდენტების გვარები** | |
| | საერთაშორისო სამეცნიერო კონფე-რენციის 1 თემის ხელმძღვანელობა | | 30 |
| | ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის 1 თემის ხელმძღვანელობა | | 20 |
| | საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფე-რენციის 1 თემის ხელმძღვანელობა | | 10 |
| | სტუდენტთა სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობების (კონკურსი, ოლიმპიადა და სხვა) ხელმძღვანელობა | | 20 |
| 7. | **პროგრამის სამეცნიერო კომპონენტის ხელმძღვანელობა** | **ნაშრომის ავტორის სახელი, გვარი; თემის სათაური** | |
| | 1 სამაგისტრო ნაშრომი | | 10 |
| | 1 საბაკალავრო ნაშრომი | | 5 |
| | 1 სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება | | 5 |
| 8. | **ტრენინგები/სამინარები/ვორქშოფები** | **ტრენინგის სახელწოდება, ორგანიზატორი, ჩატარების ადგილი, თარიღი** | |
| | ტრენინგის მომზადება/ჩატარება | | 40 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ტრენინგის მომზადება/ჩატარება უცხოურ ენაზე | | 60 |
| | სართაშორისო ტრენინგში მონაწილეობა | | 30 |
| | ადგილობრივ ტრენინგში მონაწილობა | | 20 |
| 9. | **სალექციო კურსი** | **კურსის ავტორი/ავტორები, დასახელება, გვერდების რაოდენობა** | |
| | სალექციო კურსის მოზადება | | 80 |
| | სალექციო კურსის შევსება/ განახლება | | 40 |
| | რეცენზირება | | 20 |
| 10. | **სხვა სამეცნიერო აქტივობები** | | |
| | სამეცნიერო ჟურნალის, შრომათა კრებულის რედაქტორობა | **ჟურნალის დასახელება, გამოქვეყნების ადგილი** | 50 |
| | სარედაქტორო საქმიანობის სხვა ფორმები (სარედაქციო საბჭოს წევრობა, კოლეგიის წევრობა და ა.შ.) | **ჟურნალის დასახელება,გამოქვეყნების ადგილი** | 30 |
| | სამეცნიერო საზოგადოების, ასოციაციის, საბჭოს წევრობა | **სამეცნიერო საზოგადოების, ასოციაციის, საბჭოს სახელწოდება** | 50 |
| | საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა | **თანამშრომლობის ობიექტი, ფორმები, როლი, აქტივობები** | 50 |
| 11. | **სამეცნიერო საქმიანობა, რომელიც არ იქნა ზემოთ გათვალისწინებული** | **საქმიანობის სახე, როლი და სხვა რელევანტური მოკლე ინფორმაცია** | საშ. 20 ქულა |
| **ჯამური ქულა** | | | |

**კომპონენტი 2. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის/ნაშრომის ხარისხის ინდიკატორები**

**შეფასების მაქსიმალური ქულაა -50.**

**ცხრილი N3**

| **ინდიკატორები** |
|---|
| 1. უნივერსიტეტის სახელით შესრულებული ნაშრომები რედაქტირებულია (Peer reviewed); |
| 2. ნაშრომის იდეა, შინაარსი, დასკვნები ორიგინალურია, შესრულებულია კეთილსინდისიერად (ანტიპლაგიატის პროგრამის მონაცემი); |
| 3. უნივერსიტეტის სახელით შესრულებული ნაშრომების კვლევის საკითხი თანამედროვე და აქტუალურია; |
| 4. უნივერსიტეტის სახელით შესრულებული ნაშრომი გამოყენებადია და შეუძლია გავლენა მოახდინოს შესაბამისი სფეროს/დარგის და ან საზოგადოების განვითარებაზე; |
| 5. უნივერსიტეტის სახელით შესრულებული ნაშრომები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ, ნათლად, გასაგებად და არგუმენტირებულად; |
| 6. კვლევის საკითხი ფართოდ არის მიმოხილული, ასახავს საკითხის შესწავლილობის ასპექტებს; |
| 7. ნაშრომი თანმიმდევრულია, არ შეიმჩნევა ლოგიკური წყვეტა, არ ეყრდნობა ფიქტიურ არგუმენტებს; |
| 8. ადგილი არ აქვს ფაქტების, ინფორმაციის, მონაცემების არამართებულ მანიპულაციას და დამახინჯებულ ინტერპრეტაციას; |

| | |
|---|---|
| 9. | დასკვნები არ არის საეჭვო და გადაჭარბებული; არ არის ალოგიკური (non-sequitur) და უშუალოდ გამომდინარეობს წანამძღვრებიდან; |
| 10. | ნაშრომი გასაგებად იკითხება. |

**5. აკადემიური პერსონალის საბოლოო შეფასება და შეფასების შედეგი**

1) აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორივე -რაოდენობრივი და ხარისხობრივი ასპექტების საბოლოო შეფასება ხდება მათი ჯამის (150 ქულა) საფუძველზე;
2) შეფასების შედეგი შეიძლება იყოს: „ძალიან კარგი“„ კარგი“, „დამაკმაყოფილებელი“, ან „არადამაკმაყოფილებელი“ (დანართი 2, დანართი 3);
3) იმ შემთხვევაში თუ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგია „არადამაკმაყოფილებელი“, შესაბამისი ფაკულტეტი/კათედრა პირთან ერთად განიხილავს აღნიშნულის მიზეზებსა და სახავს გაუმჯობესების გზებს;
4) იმ შემთხვევაში თუ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგია „არადამაკმაყოფილებელი“ ზედიზედ სამი წლის განმავლობაში, ფაკულტეტის საბჭო კათედრის წარდგინებით განიხილავს აკადემიური პერსონალის წევრის აკადემიურ თანამდებობასთან შესაბამისობის საკითხს.

**6. კათედრა:**

1) კათედრის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების საფუძვლებია: კათედრის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური სამოქმედო გეგმის შესრულება და მომზადებული ანგარიში დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.
2) კათედრის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგი შეიძლება იყოს: „ძალიან კარგი“„ კარგი“, „დამაკმაყოფილებელი“, ან „არადამაკმაყოფილებელი“ (დანართი
3) იმ შემთხვევაში თუ კათედრის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგია „არადამაკმაყოფილებელი“, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კათედრის ხელმძღვანელთან ერთად განიხილავს აღნიშნულის მიზეზებსა და შეიმუშავებს გაუმჯობესების გზებს;
4) იმ შემთხვევაში თუ კათედრის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგია „არადამაკმაყოფილებელი“ ზედიზედ სამი წლის განმავლობაში, რექტორი დეკანის წარდგინებით განიხილავს კათედრის ხელმძღვანელის თანამდებობასთან შესაბამისობის ან კათედრის არსებობის მიზანშეწონილობის საკითხს.

## 5 უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კომპლექსური შეფასების ინდიკატორები და კრიტერიუმები

1. **უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კომპლექსური შეფასების ინდიკატორები:** უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კომპლექსური შეფასებისთვის გამოიყენება ოთხი ინდიკატორი, რაც უნდა აისახოს წლიური სამეცნიერო გეგმის შესრულების ანგარიშში, ეს ინდიკატორებია:

1) საკადრო ინდიკატორი;
2) ბიბლიომეტრული ინდიკატორი;
3) ხარისხობრივი ინდიკატორი;
4) ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური ინდიკატორი.

**უნივერსიტეტის წლიური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ინდიკატორები და კრიტერიუმები**

**ცხრილი N 4.**

| **ინდიკატორები და კრიტერიუმები** |
|---|
| **1. საკადრო ინდიკატორი** |
| ***კრიტერიუმები:***<br>1) აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა;<br>2) სამეცნიერო საბჭოების და/ან სამეცნიერო პროფესიული გაერთიანებების წევრობა;<br>3) მონაწილეობა კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, სემინარებში, ვორქშოფებში (მ.შ. საერთაშორისო) და სხვა ღონისძიებებში, მონაწილეობის ფორმა;<br>4) მოპოვებული სამეცნიერო გრანტები;<br>5) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, ნაშრომების რაოდენობა (მ.შ. ნაშრომების რაოდენობა, რომელნიც შეფასდა უმაღლესი ქულებით საერთო რაოდენობიდან);<br>6) აკადემიური პერსონალის სარედაქტორო/სარეცენზიო საქმიანობა და სხვა. |
| **2. ბიბლიომეტრული ინდიკატორი** |
| ***კრიტერიუმები:***<br>1) პუბლიკაციათა რაოდენობა განსაზღვრულ პერიოდში, პუბლიკაციათა სახეების მიხედვით: სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სტატია და ა.შ.;<br>2) პუბლიკაციათა რაოდენობა (რედაქტირებად ჟურნალებში; საერთაშორისო ჟურნალებში; იმპაქტ-ფაქტორის საერთაშორისო ჟურნალებში);<br>3) ერთობლივი კვლევების ან უცხოელ მეცნიერთან თანაავტოროობით შესრულებული ნაშრომების რაოდენობა;<br>4) ციტირებული ნაშრომების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში); |
| **3. ხარისხობრივი ინდიკატორი** |
| ***კრიტერიუმები:***<br>1) უნივერსიტეტის სახელით შესრულებული ნაშრომები რედაქტირებულია (Peer reviewed);<br>2) უნივერსიტეტის სახელით შესრულებული ნაშრომები ორიგინალურია, შესრულებულია კეთილსინდისიერად (ანტიპლაგიატის პროგრამის მონაცემი);<br>3) უნივერსიტეტის სახელით შესრულებული ნაშრომების კვლევის საკითხი თანამედროვე და აქტუალურია;<br>4) უნივერსიტეტის სახელით შესრულებული ნაშრომები გამოყენებადია და შეუძლია გავლენა მოახდინოს შესაბამისი სფეროს/დარგის და ან საზოგადოების განვითარებაზე;<br>5) ციტირებული ნაშრომების რაოდენობა (Google Scholar, Scopus,Thomson Reuters მონაცემთა გამოყენებით); |
| **4. ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური** |
| ***კრიტერიუმები:***<br>1) ფინანსური დანახარჯები მეცნიერებაზე;<br>2) სამეცნიერო საქმიანობის ხელშემწყობი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. |

**2. ინდიკატორების შესრულების სტატუსი:**

1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, თუ დაკმაყოფილებულია კრიტერიუმების 90% და მეტი;

2) ინდიკატორი უმეტესად დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, თუ დაკმაყოფილებულია კრიტერიუმების 75%-დან 90%-მდე;
3) ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, თუ დაკმაყოფილებულია კრიტერიუმების 60%-დან 75%-მდე;
4) ინდიკატორი არ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, თუ დაკმაყოფილებულია კრიტერიუმების 60%-ზე ნაკლები.

**3. უნივერსიტეტის სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობის წლიური სამოქმედო გეგმის შესრულება**

1) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კომპლექსური შეფასების და სხვა დამატებითი მონაცემების საფუძველზე უნივერსიტეტი გამოავლენს, თუ რამდენად შესრულდა სამეცნიერო საქმიანობის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნები და ამოცანები, რის შედეგადაც კეთდება შემდეგი დასკვნები: „სრულად შესრულდა“, „უმეტესად შესარულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“.
2) სამოქმედო გეგმის მიზნებისა და ამოცანების ნაწილობრივ შესრულების ან არ შესრულების შემთხვევაში, ანალიზდება მიზეზები, რასაც მოყვება შესაბამისი რეკომენდაციები და რეაგირება.

## 6 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგების მართვა

1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგების მართვის, მასზე უკუკავშირის მიზანია, უნივერსიტეტში გაუმჯობესდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხი, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მისიის, მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანად შესრულებას.
2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგების გაცნობა ხდება თითოეული შეფასებული კათედრისთვის და აკადემიური პერსონალისათვის.
3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგების გაცნობაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

## 7 გარდამავალი დებულება

1. სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგია ძალაში შედის 2019 წლის 02 თებერვლიდან.
2. სამეცნიერო საქმიანობის შეფასების წესი ვრცელდება 2019 წლიდან განხორციელებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე;
3. „სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგიის“ ძალაში შესვლით გაუქმდეს „სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზებისა და შეფასების წესი“ რექტორის მ/შ ბრძანებით 01-01/95 28.03.2017 წ.

დანართი 1.
(დამტკიცებული ფორმა N11)

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

## აკადემიური პერსონალის წლიური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშისა და შეფასების ფორმა
## წელი

| | |
|---|---|
| აკადემიური პერსონალის სახელი, გვარი | |
| აკადემიური თანამდებობა | |
| სტატუსი | |
| ადმინისტრაციული თანამდებობა | |
| ფაკულტეტი | |
| პროგრამა | |

### ა. რაოდენობრივი ინდიკატორები

| N | სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და პროფესიული განვითარება | ინფორმაცია | ქულა |
|---|---|---|---|
| 1. | **მონოგრაფია** | **ავტორი/ავტორები, დასახელება, გამოქვეყნების ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა** | |
| | მომზადება-გამოცემა | | 200 |
| | რეადაქტირება | | 50 |
| | რეცენზირება | | 50 |
| 2. | **სახელმძღვანელო** | **ავტორი/ავტორები, დასახელება, გამოქვეყნების ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა** | |
| | მომზადება-გამოცემა | | 100 |
| | შევსება -განახლება | | 50 |
| | რეადაქტირება | | 30 |
| | რეცენზირება | | 30 |
| 3. | **სტატია** | **ავტორი/ავტორები, დასახელება, გამოქვეყნების ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა** | |
| | იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალში | | 100 |
| | რეფერირებად, რეცენზირებად საზღვარგარეთის ჟურნალში | | 80 |
| | ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში, შრომათა კრებულში | | 60 |
| | სასწავლო/სამეცნიერო მეთოდურ ჟურნალში | | 60 |
| | სამეცნიერო-პოპულარულ გამოცემაში | | 30 |
| 4. | **საგრანტო პროექტი** | **სამეცნიერო გრანტის დასახელება, სტატუსი, ხანგრძლივობა (წწ), დონორი ორგანიზაცია** | |
| | საერთაშორისო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა | | 200 |
| | საერთაშორისო საგრანტო პროექტში მონაწილეობა | | 100 |
| | საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ხელმძღვანელობა | | 150 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტში მონაწილეობა | | 80 |
| | შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა | | 80 |
| | შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტში მონაწილეობა | | 40 |
| 5. | **სამეცნიერო კონფერენცია/სიმპოზიუმი/ სემინარი** | **ღონისძიების ჩატარების ადგილი/კონფერენციის სახელწოდება, ჩატარების თარიღი;** | |
| | საერთაშორისო სამეცნიერო კონფე-რენციის, სიმპოზიუმის და სხვა ხელმძღვანელობა | | 100 |
| | მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე,სიმპოზიუმზე და სხვა | **(მოხსენების სათაურის მითითებით)** | 60 |
| | ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციის, სიმპოზიუმის და სხვა ხელმძღვანელობა | | 60 |
| | მოხსენება ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაზე და სხვა | | 40 |
| | უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის ხელმძღვანელობა | | 40 |
| | მოხსენება საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციაზე, სიმპოზიუმზე და სხვა | | 40 |
| 6. | **სამეცნიერო კონფერენციისთვის სტუდენტის მომზადება/სტუდენტთა სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობების ორგანიზება-ხელმძღვანელობა** | **კონფერენციის სახელწოდება; ორგანიზატორის დასახელება/ჩატარების ადგილი და თარიღი. სტუდენტების გვარები** | |
| | საერთაშორისო სამეცნიერო კონფე-რენციის 1 თემის ხელმძღვანელობა | | 30 |
| | ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის 1 თემის ხელმძღვანელობა | | 20 |
| | საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფე-რენციის 1 თემის ხელმძღვანელობა | | 10 |
| | სტუდენტთა სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობების (კონკურსი, ოლიმპიადა და სხვა) ხელმძღვანელობა | | 20 |
| 7. | **პროგრამის სამეცნიერო კომპონენტის ხელმძღვანელობა** | **ნაშრომის ავტორის სახელი, გვარი; თემის სათაური** | |
| | 1 სამაგისტრო ნაშრომი | | 10 |
| | 1 საბაკალავრო ნაშრომი | | 5 |
| | 1 სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება | | 5 |
| 8. | **ტრენინგები/სამინარები/ვორქშოფები** | **ტრენინგის სახელწოდება, ორგანიზატორი, ჩატარების ადგილი, თარიღი** | |
| | ტრენინგის მომზადება/ჩატარება | | 40 |
| | ტრენინგის მომზადება/ჩატარება უცხოურ ენაზე | | 60 |
| | სართაშორისო ტრენინგში მონაწილეობა | | 30 |
| | ადგილობრივ ტრენინგში მონაწილობა | | 20 |
| 9. | **სალექციო კურსი** | **კურსის ავტორი/ავტორები, დასახელება, გვერდების რაოდენობა** | |
| | სალექციო კურსის მოზადება | | 80 |
| | სალექციო კურსის შევსება/ განახლება | | 40 |
| | რეცენზირება | | 20 |

| | | | |
|---|---|---|---|
| **10.** | **სხვა სამეცნიერო აქტივობები** | | |
| | სამეცნიერო ჟურნალის, შრომათა კრებულის რედაქტორობა | **ჟურნალის დასახელება, გამოქვეყნების ადგილი** | 50 |
| | სარედაქტორო საქმიანობის სხვა ფორმები (სარედაქციო საბჭოს წევრობა, კოლეგიის წევრობა და ა.შ.) | **ჟურნალის დასახელება,გამოქვეყნების ადგილი** | 30 |
| | სამეცნიერო საზოგადოების, ასოციაციის, საბჭოს წევრობა | **სამეცნიერო საზოგადოების, ასოციაციის, საბჭოს სახელწოდება** | 50 |
| | საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა | **თანამშრომლობის ობიექტი, ფორმები, როლი, აქტივობები** | 50 |
| **11.** | **სამეცნიერო საქმიანობა, რომელიც არ იქნა ზემოთ გათვალისწინებული** | **საქმიანობის სახე, როლი და სხვა რელევანტური მოკლე ინფორმაცია** | საშ. 20 ქულა |
| **ჯამური ქულა** | | | |

***შენიშვნა:*** ავტორის აფილიაციაში მითითებული უნდა იყოს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი. იმ შემთხვევაში თუ აფილიაციაში მითითებულია სხვა ინსტიტუცია, პუბლიკაცია ვერ იქნება გამოყენებული ავტორის კვლევის შედეგების შეფასებისათვის.

## ბ. ხარისხობრივი ინდიკატორები

| **ინდიკატორები** | **მოკლე აღწერა (ინდიკატორების დადასტურება აკადემიური პერსონალის მიერ)** |
|---|---|
| 1. უნივერსიტეტის სახელით შესრულებული ნაშრომები რედაქტირებულია (Peer reviewed); | |
| 2. ნაშრომის იდეა, შინაარსი, დასკვნები ორიგინალურია, შესრულებულია აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით (ანტიპლაგიატის პროგრამის მონაცემი); | |
| 3. უნივერსიტეტის სახელით შესრულებული ნაშრომების კვლევის საკითხი თანამედროვე და აქტუალურია; | |
| 4. უნივერსიტეტის სახელით შესრულებული ნაშრომი გამოყენებადია და შეუძლია გავლენა მოახდინოს შესაბამისი სფეროს/დარგის და ან საზოგადოების განვითარებაზე; | |
| 5. უნივერსიტეტის სახელით შესრულებული ნაშრომები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ, ნათლად, გასაგებად და არგუმენტირებულად; | |
| 6. კვლევის საკითხი ფართოდ არის მიმოხილული, ასახავს საკითხის შესწავლილობის ასპექტებს; | |
| 7. ნაშრომი თანმიმდევრულია, ადგილი არ აქვს ლოგიკურ წყვეტას, არ ეყრდნობა ფიქტიურ არგუმენტებს; | |
| 8. ადგილი არ აქვს ფაქტების, ინფორმაციის, მონაცემების არამართებულ მანიპულაციას და დამახინჯებულ ინტერპრეტაციას; | |
| 9. დასკვნები არ არის საეჭვო და გადაჭარბებული; არ არის ალოგიკური (non-sequitur) და უშუალოდ გამომდინარეობს წანამძღვრებიდან; | |
| 10. ნაშრომის ენა გასაგები და გამართულია | |

***შენიშვნა:*** ავტორის აფილიაციაში მითითებული უნდა იყოს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი. იმ შემთხვევაში თუ მითითებულია სხვა ინსტიტუცია, პუბლიკაცია ვერ იქნება გამოყენებული ავტორის კვლევის შედეგების შეფასებისათვის.

**აკადემიური პერსონალის ხელმოწერა:----------**

**თარიღი: ----------**

**ბ. ხარისხობრივი ინდიკატორების შეფასების ფორმა**
**შეფასების მაქსიმალური ქულაა -50.**

| **ინდიკატორები** | **შეფასების ქულა (1 მინიმალური, 5-მაქსიმალური)** | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **1** | **2** | **3** | **4** | **5** |
| 1. უნივერსიტეტის სახელით შესრულებული ნაშრომები რედაქტირებულია (Peer reviewed); | | | | | |
| 2. ნაშრომის იდეა, შინაარსი, დასკვნები ორიგინალურია, შესრულებულია კეთილსინდისიერად (ანტიპლაგიატის პროგრამის მონაცემი); | | | | | |
| 3. უნივერსიტეტის სახელით შესრულებული ნაშრომების კვლევის საკითხი თანამედროვე და აქტუალურია; | | | | | |
| 4. უნივერსიტეტის სახელით შესრულებული ნაშრომი გამოყენებადია და შეუძლია გავლენა მოახდინოს შესაბამისი სფეროს/დარგის და ან საზოგადოების განვითარებაზე; | | | | | |
| 5. უნივერსიტეტის სახელით შესრულებული ნაშრომები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ, ნათლად, გასაგებად და არგუმენტირებულად; | | | | | |
| 6. კვლევის საკითხი ფართოდ არის მიმოხილული, ასახავს საკითხის შესწავლილობის ასპექტებს; | | | | | |
| 7. ნაშრომი თანმიმდევრულია, არ შეიმჩნევა ლოგიკური წყვეტა, არ ეყრდნობა ფიქტიურ არგუმენტებს; | | | | | |
| 8. ადგილი არ აქვს ფაქტების, ინფორმაციის, მონაცემების არამართებულ მანიპულაციას და დამახინჯებულ ინტერპრეტაციას; | | | | | |
| 9. დასკვნები არ არის საეჭვო და გადაჭარბებული; არ არის ალოგიკური (non-sequitur) და უშუალოდ გამომდინარეობს წანამძღვრებიდან; | | | | | |
| 10. ნაშრომი გასაგებად იკითხება. | | | | | |

**შეფასების შედეგი**

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორივე -რაოდენობრივი და ხარისხობრივი ასპექტების საბოლოო შეფასება ხდება მათი ჯამის (მაქსიმალური 150 ქულა) საფუძველზე;

| **კრიტერიუმი** | **შედეგი** |
|---|---|
| მაქსიმალური ქულათა ჯამის 85 %-ი და მეტი | **„ძალიან კარგი“** |
| მაქსიმალური ქულათა ჯამის 75%-იდან 85%-მდე | **„ კარგი“** |

| | |
|---|---|
| მაქსიმალური ქულათა ჯამის 60%-იდან -75% მდე | **„დამაკმაყოფილებელი“** |
| მაქსიმალური ქულათა ჯამის 60%-ზე ნაკლები | **„არადამაკმაყოფილებელი“** |

**დანართი 2.**
**(დამტკიცებული ფორმა N 8.)**

**გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი**

**ფაკულტეტის/კათედრის წლიური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის ფორმა**
**წელი**

**ფაკულტეტი**----------

**კათედრა**----------

**კათედრის ხელმძღვანელი**----------

| **1. სამეცნიერო საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულება/ კათედრის წლიური თემა** |
|---|
| **აღწერა:**<br>- კვლევის თემის დასახელება;<br>- სამეცნიერო საქმიანობის ტიპი (თეორიული/აკადემიური; პრაქტიკული/პროფესიული).<br>- ხელმძღვანელი;<br>- მონაწილენი;<br>- მოსალოდნელი შედეგები;<br>- ბიუჯეტი;<br>- განხორციელების გრაფიკი (ცხრილის სახით);<br>- შესრულების ინდიკატორები;<br>- განხორციელების შუალედური მონიტორინგი;<br>- ანგარიში;<br>**დანართი:** დასრულებული წლიური თემის ბეჭდური ვერსია. |

| **2. პუბლიკაციები** | **ავტორი გვარი, სახელი; ნაშრომის სახელწოდება, (ჟურნალის, კრებულის დასახელება, N ) გამოქვეყნების ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა** |
|---|---|
| მონოგრაფია | 1.----<br>2.---- |
| კოლექტიური მონოგრაფია | 1.----<br>2.---- |
| სტატია გამოქვეყნებული იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში | 1.----<br>2.---- |
| სტატია გამოქვეყნებული რეფერირებად, რეცენზირებად ჟურნალში | 1.----<br>2.---- |
| სტატი გამოქვეყნებული საზღვარგარეთის ჟურნალში | 1.----<br>2.---- |
| სტატია გამოქვეყნებული ადგილობრივ სამეცნიერო შრომათა კრებულში | 1.----<br>2.---- |
| სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი | 1.----<br>2.---- |
| სახელმძღვანელო | 1.----<br>2.---- |

| | |
|---|---|
| **3. სამეცნიერო კონფერენციები და სხვა სამეცნიერო ღონისძიებები** | **ღონისძიების სახელწოდება; ჩატარების ადგილი, თარიღი; კონფერენციის მონაწილის გვარი, სახელი, როლი** |
| კათედრის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო ღონისძიებები: (კონფერენცია, სამეცნიერო სემინარი, მრგვალი მაგიდა, სამეცნიერო-მეთოდური სემინარი, საჯარო ლექცია, ვორქშოფი, გამოფენა, ფესტივალი, მეცნიერის ხსოვნის საღამო, სამეცნიერო საზოგადოების დაარსება, სამეცნიერო-თემატური კვირეული და ა.შ.) | 1.----<br>2.---- |
| ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში (სიმპოზიუმში, სემინარში) მონაწილეობა:<br>მონაწილის გვარი სახელი, კონფერენციაში მონაწილეობის სტატუსი (წამყვანი, მომხსენებელი და მონაწილე, მხოლოდ მონაწილე, სექციის ხელმძღვანელი, სხვა) | 1.----<br>2.---- |
| საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში (სიმპოზიუმში, სემინარში) მონაწილეობა: | 1.----<br>2.---- |
| **4. დაფინანსებულ სამეცნიერო პროექტი** | |
| - პროექტის სახელწოდება, სტატუსი;<br>- პროექტის აღწერა;<br>- პროექტის ხელმძღვანელი;<br>- დაწყების და დასრულების თარიღი /ხანგრძლივობა;<br>- მონაწილეთა გვარი, სახელი; როლი პროექტში;<br>- დაფინანსების წყარო/ფორმა;<br>- სხვა | |
| **5. სტუდენტური სამეცნიერო ღონისძიებები** | **ღონისძიების/პროექტის/ ძირითადი სათაური, მიმართულება; ჩატარების ადგილი, თარიღი; მონაწილის გვარის, სახელი, ხელმძღვანელი, ჯილდო კონფერენციაში მონაწილეობისთვის (დიპლომი, სერტიფიკატი, პრემია, სხვა) - არსებობის შემთხვევაში** |
| ფაკულტეტის/კათედრის მიერ ორგანიზებული სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია | 1.----<br>2.---- |
| ადგილობრივი და/ან საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია | 1.----<br>2.---- |
| სტუდენტური სამეცნიერო პროექტებში | 1.----<br>2.---- |
| **6. სტუდენტთა პუბლიკაციები აკადემიური** | **ავტორის გვარი, სახელი, ნაშრომის , ხელმძღვანელი, გამოქვეყნების ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა;** |
| | 1.----<br>2.---- |
| **7. პროგრამის სამეცნიერო კომპონენტის ხელმძღვანელობა** | **ხელმძღვანელი (სახელი, გვარი), სტუდენტთა რაოდენობა, ნაშრომის სათაურები;** |
| სამაგისტრო ნაშრომები | 1.----<br>2.---- |

| | |
|---|---|
| საბაკალავრო ნაშრომები | 1.----<br>2.---- |
| **8. სარედაქტორო საქმიანობა** | **რედაქტორის გვარი, სახელი; ნაშრომის ავტორი, სათაური, გამოქვეყნების ადგილი, წელი.** |
| მონოგრაფიის სამეცნიერო რედაქტორობა | 1.----<br>2.---- |
| სახელმძღვანელოს რედაქტორობა | 1.----<br>2.---- |
| სამეცნიერო შრომათა კრებულის/ჟურნალის რედაქტორობა | 1.----<br>2.---- |
| სარედაქტორო საქმიანობის სხვა ფორმები (სარედაქციო საბჭოს წევრობა, სარედაქციო კოლეგიის წევრობა, სხვა): | 1.----<br>2.---- |
| **9. სარეცენზიო საქმიანობა** | **რეცენზენტის გვარი, სახელი; ნაშრომის ავტორი, სათაური, გამოქვეყნების ადგილი, წელი.** |
| მონოგრაფიის რეცენზირება | 1.----<br>2.---- |
| სახელმძღვანელოს რეცენზირება | 1.----<br>2.---- |
| სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება | 1.----<br>2.---- |
| **10. სამეცნიერო საზოგადოების წევრობა** | **სამეცნიერო საზოგადოების სახელწოდება;<br>- წევრის გვარი, სახელი, სხვა მონაცემები** |
| | 1.----<br>2.---- |
| **11. საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა** | |
| **სახელი, გვარი, სხვა მონაცემები; თანამშრომლობის ობიექტი/ობიექტები; ფორმები, მიმართულებები, აქტივობები (თავისუფალი აღწერა);** | |
| **12. ტრენინგები, სემინარები და სხვა** | **მონაწილის გვარი, სახელი; ტრენინგის/სემინარის სახელწოდება, ორგანიზატორის დასახელება/სტატუსი. ჩატარების ადგილი, თარიღი;** |
| ადგილობრივ ტრენინგებში, სემინარებში და პროფესიული განვითარების სხვა სახის ღონისძიებებში მონაწილეობა | 1.----<br>2.---- |
| საერთაშორისო ტრენინგებში, სემინარებში და პროფესიული განვითარების სხვა სახის ღონისძიებებში მონაწილეობა | 1.----<br>2.---- |
| **13. სალექციო კურსის (სახელმძღვანელოს პროექტი) მომზადება** | **ავტორი, დასახელება, გვერდების რაოდენობა;** |
| | |
| **13. სხვა აქტივობები** | |

დანართი 3.

ფაკულტეტის/კათედრის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის ფორმა

| საუნივერსიტეტო სტრატეგიული მიზნების შესაბამისი სამოქმედო გეგმა | შესრულების მაჩვენებლი/ინდიკატორი | შესრულების სტატუსი/რეიტინგი | | | | კომენტარი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სრულად შესრულდა | ეფექტურად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| მიზანი 1. | | | | | | |
| ამოცანა 1.1. | | | | | | |
| ამოცანა 1.2. | | | | | | |
| .... | | | | | | |

ფაკულტეტის დეკანი: ბ.ა.

კათედრის ხელმძღვანელი:

რიცხვი/თვე/წელი

**დანართი 4.**
**(დამტკიცებული ფორმა N21 )**

**გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი**

**უნივერსიტეტის წლიური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის ფორმა**
**წელი**

| **ინდიკატორები და კრიტერიუმები** | **აღწერა** | **ანალიზი** |
|---|---|---|
| **1. საკადრო ინდიკატორი** | | |
| **1.1. კრიტერიუმები** | | |
| 1) აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა; | | |
| 2) სამეცნიერო საბჭოების და/ან სამეცნიერო პროფესიული გაერთიანებების წევრობა; | | |
| 3) მონაწილეობა კონფერენციებში (მ.შ. საერთაშორისო) და სხვა ღონისძიებებში, მონაწილეობა; მონაწილის როლი. | | |
| 4) მოპოვებული სამეცნიერო გრანტები; | | |
| 5) სამაგისტრო და/ან საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, ნაშრომების რაოდენობა; ნაშრომების რაოდენობა, რომელნიც შეფასდა უმაღლესი ქულებით საერთო რაოდენობიდან; | | |
| 6) აკადემიური პერსონალის სარედაქტორო, სარეცენზიო საქმიანობა და სხვა. | | |
| **2. ბიბლიომეტრული ინდიკატორი** | | |
| **2.1. კრიტერიუმები** | | |
| 1) პუბლიკაციათა რაოდენობა განსაზღვრულ პერიოდში, პუბლიკაციათა სახეების მიხედვით: სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სტატია და ა.შ.; | | |
| 2) პუბლიკაციათა რაოდენობა<br>▪ რედაქტირებად ჟურნალებში;<br>▪ საერთაშორისო ჟურნალებში;<br>▪ იმპაქტ-ფაქტორის საერთაშორისო ჟურნალებში; | | |
| 3) ერთობლივი კვლევების ან უცხოელ მეცნიერთან თანაავტოროობით შესრულებული ნაშრომების რაოდენობა; | | |
| 4) ციტირებული ნაშრომების რაოდენობა | | |
| **3. ხარისხობრივი ინდიკატორი**<br>**(სამიზნე ნიშნული-ხარისხიანი სამეცნიერო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებეს 3.1. კრიტერიუმების 85%-ს)** | | |
| **3.1. კრიტერიუმები** | | |
| 1) უნივერსიტეტის სახელით შესრულებული ნაშრომები რედაქტირებულია (Peer reviewed); | | |
| 2) უნივერსიტეტის სახელით შესრულებული ნაშრომები ორიგინალურია, შესრულებულია კეთილსინდისიერად (ანტიპლაგიატის პროგრამის მონაცემი); | | |

| | | |
|---|---|---|
| 3) უნივერსიტეტის სახელით შესრულებული ნაშრომების კვლევის საკითხი თანამედროვე და აქტუალურია; | | |
| 4) უნივერსიტეტის სახელით შესრულებული ნაშრომები გამოყენებადია და შეუძლია გავლენა მოახდინოს შესაბამისი სფეროს/დარგის და ან საზოგადოების განვითარებაზე; | | |
| 5) ციტირებული ნაშრომების რაოდენობა (Google Scholar, Scopus,Thomson Reuters მონაცემთა გამოყენებით). | | |
| **4. ფინანსური და მატრიალურ-ტექნიკური ინდიკატორი** | | |
| **4.1. კრიტერიუმები** | | |
| 1) ფინანსური დანახარჯები მეცნიერებაზე; | | |
| 2) სამეცნიერო საქმიანობის ხელშემწყობი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. | | |

**ხელმოწერა ---------- /ხარისხის უზრუნველოფის სამსახურის უფროსი/**

**ხელმოწერა---------- /სასწავლო პროცესის მართვისა და მეცნიერების განყოფილების უფროსი/**

**თარიღი:**

დანართი 5.
(დამტკიცებული ფორმა N22 )

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის წლიური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინდიკატორების შეფასების ფორმა
წელი

| ინდიკატორი | შესრულების მაჩვენებლი | შესრულების სტატუსი/რეიტინგი | | | | კომენტარი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | დაკმაყოფილებული | უმეტესად დაკმაყოფილებული | ნაწილობრივ დაკმაყოფილებული | არ არის დაკმაყოფილებული | |
| | | 90% და მეტი | 75%-დან 90%-მდე | 60%-დან 75%-მდე | 60%-ზე ნაკლები | |
| ინდიკატორი 1. | | | | | | |
| ინდიკატორი 2. | | | | | | |
| ინდიკატორი 3. | | | | | | |
| ინდიკატორი 4. | | | | | | |

დანართი 6.

უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების ფორმა
წელი

| უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა | შესრულების მაჩვენებლი/ინდიკატორი | შესრულების სტატუსი/რეიტინგი | | | | კომენტარი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სრულად შესრულდა | უმეტესად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| მიზანი 1. | | | | | | |
| ამოცანა 1.1. | | | | | | |
| ამოცანა 1.2. | | | | | | |

ხელმოწერა ---------- /ხარისხის უზრუნველოფის სამსახურის უფროსი/

თარიღი: